სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ოცდასამ აპრილს **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის (ს/კ 405217019) დირექტორმა ლევან ღურწკაიამ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ლევან ღურწკაიამ** (დაბადებული 21.02.1983წ. სოხუმში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე თბილისი აღმაშენებლის ხეივანი, დიღომი 8, ბარათის №13IN64282, პირადი №62001012389, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 14.08.2015წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის (ს/კ 405217019) დირექტორი ლევან ღურწკაია** (დაბადებული 21.02.1983წ. სოხუმში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე თბილისი აღმაშენებლის ხეივანი, დიღომი 8, ბარათის №13IN64282, პირადი №62001012389, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 14.08.2015წ.) ვენდობი **ნოდარ ბაღათურიას** (დაბადებული 27.11.1976წ. თბილისში, პირადი : 01024006154) იყოს ჩემი, როგორც **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის** დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, ფიზიკურ, იურიდიულ და მესამე პირებთან ურთიერთობაში: მათ შორის საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, ქალაქ თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სსიპ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, აწარმოოს მათთან ურთიერთობები იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც გამაჩნია მე, როგორც **საზოგადოების დირექტორს**, გამოითხოვოს ყველანაირი საბუთი და დოკუმენტაცია ნებისმიერი დაწესებულებიდან, წარადგინოს განცხადებები, ცნობები, მიიღოს ამონაწერები, მიიღოს ნებართვები საკვები ობიექტის მოწყობასა და სარეკლამო აბრების განთავსების თაობაზე, დარეგისტრირდეს ბიზნეს ოპერატორად, გადაიხადოს გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს და განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის ხელი მოაწეროს უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის ხელშეკრულებებს, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები, მიიღოს ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილება საზოგადოების მართვასთან დაკავშირებით.

ასევე იყოს **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის** წარმომადგენელი ნებისმიერ საბაჟო ტერმინალში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, მიიღოს საზოგადოების სახელზე ჩამოსული ნემისმიერი სახის ტვირთი, აწარმოოს ყველა სახის საბაჟო და სატერმინალო ოპერაციები, შეასრულოს საბაჟო დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (საბაჟო მოსაკრებლისა და გადასახადების გადახდა და საბაჟო პროცედურების შესრულება) უზრუნველყოს ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე.

ნოდარ ბაღათურია (დაბადებული 27.11.1976წ. თბილისში, პირადი : 01024006154) უფლებამოსილია მართოს და განკარგოს **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის** კუთვნილი ანგარიშები საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს "საქართველოს ბანკ"-ში, სს "თიბისი ბანკ"-ში, სს "ვითიბი ბანკი საქართველო"-ში, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, გახსნას და დახუროს ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტით და შეასრულოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია, დაამზადოს/დახუროს/დაბლოკოს და განბლოკოს პლასტიკური ბარათი, დაკარგვის შემთხვევაში შეუკვეთოს, აღადგინოს და მიიღოს იგი, მიიღოს დეტალური ინფორმაცია, ცნობა და ამონაწერი ამ ანგარიშების თაობაზე, შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ზემოთ ჩამოთვლილი დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობის მიმღები უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია **შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია 5 (ხუთი) წლის ვადით და ძალაშია 2023 წლის 23 აპრილის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს "ტიფლისი-პერმ გრუპ"-ის დირექტორი

ლევან ღურწკაია _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

63374313121918

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180435563

რეგისტრაციის თარიღი

23.04.2018 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 2 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18